



სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის კოდი

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში, 0203

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სტუდენტთა ზღვრული ოდენობა

ერთიანი ეროვნული გამოცდები. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ არანაკლებ ბაკალავრის ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებული დიპლომის მფლობელი პირებს. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების (მენეჯმენტი და უცხო ენის B2 დონეზე ჩაბარების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. (B2 დონის შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში სტუდენტი თავისუფლდება უცხო ენაში საუნივერსიტეტო ტესტირებისაგან).

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის წესი. საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესაბამისად.

მოზილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მოზილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

შიდა მოზილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მოზილობის წესით. შიდა მოზილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია რეგულარულად თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.sangu.edu.ge.

საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრება 50 სტუდენტით.

სტრუქტურა და სწავლის ხანგრძლივობა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსები არის სტანდარტული, ემყარება დასავლეთის უნივერსიტეტებში აპრობირებულ თემატიკას და სწავლების მიმართულებებს. ორიენტირებულია მაგისტრატურის დონეზე ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში საჭირო კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფაზე, რომლის განხორციელება შესაძლებელია პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სასწავლო კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნისა და უნარების საფუძველზე. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული მაგისტრის კომპეტენციებისა და ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრისადმი დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის მომზადება მიმდინარეობს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტების მეშვეობით. სავალდებულო სასწავლო კომპონენტი მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთან დაკავშირებულ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, სავალდებულო პრაქტიკას, კვლევით პროექტსა და სამაგისტრო ნაშრომს, აგრეთვე თავისუფალ არჩევით სასწავლო კურსებს. სამაგისტრო პროგრამის კომპონენტები გამიზნულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მაგისტრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე.

პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობაა 4 სემესტრი (2 წელი).

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 120 ECTS კრედიტი.

პროგრამა მოიცავს: სპეციალობის სავალდებულო კურსს (60 კრედიტი), სამაგისტრო ნაშრომს (20 კრედიტი), კვლევით პროექტს (5 კრედიტი), პროფესიულ პრაქტიკას (10 კრედიტი) და არჩევით სასწავლო კურსს (25 კრედიტი).

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტი (60 კრედიტი) ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების, კერძოდ მენეჯმენტის მიმართულებით არსებული თეორიებისა და პრინციპების, სფეროსათვის დამახასიათებელი და უახლესი მიღწევების შესახებ ღრმა ცოდნის მიცემაზე, სფეროს კომპლექსური საკითხების კრიტიკული გააზრების ხელშეწყობაზე, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში სფეროს ფარგლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის საჭირო ორიგინალური გზების ძიებაზე, პროფესიული მოღვაწეობისათვის აუცილებელი ღირებულებების ფორმირებაზე.

არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტი (25 კრედიტი) ორიენტირებულია მაგისტრანტთა ცოდნის გაფართოებაზე ბიზნესის ადმინისტრირების ცალკეული სპეციალობების კუთხით, ასევე სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში შეძენილი ცოდნის ინტერესების შესაბამისი კონკრეტული მიმართულებით გაღრმავებაზე.

პროფესიული პრაქტიკის კომპონენტი (10 კრედიტი) ორიენტირებულია სწავლის პროცესში მოპოვებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციაზე, გამოუმუშავებული უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებაზე. აღნიშნული კომპონენტი შესაძლებლობას აძლევს მაგისტრანტს შეიძინოს აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება, ასევე კომპლექსური სამუშაო გარემოს მართვა.

კვლევის კომპონენტი (25 კრედიტი) მოიცავს კვლევით პროექტს (5 კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომს (20 კრედიტი) და ორიენტირებულია აკადემიური ნაშრომის შესრულებისათვის საჭირო უნარების განვითარებაზე: საკვლევი თემის შერჩევა და სამუშაო გეგმის შედგენა, კვლევის მეთოდის არჩევა და წყაროების მოძიება-ანალიზი, მათ შორის სამეცნიერო სტატიების მიმოხილვა და მონაცემების დამუშავება, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება და ნაშრომის საჯაროდ დაცვა. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას უნდა გამოვლინდეს სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლის

შედეგად მიღებული ცოდნის დონისა და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, მოხდეს მათი გაღრმავება კონკრეტული საკვლევი თემის ფარგლებში. კვლევის კომპონენტი აგრეთვე ორიენტირებულია რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების ძიებაზე, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარის განვითარებაზე, არასრული ან კომპლექსური ინფორმაციისა და არსებული კვლევების კრიტიკული ანალიზის უნარის განვითარებაზე, შეფასებისა და დასკვნების ჩამოყალიბების უნარის ხელშეწყობაზე სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობების გათვალისწინებით.

პროგრამის ხელმძღვანელი

ლევან ქისტაური, ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი. ტელ: 599308282, ელ. ფოსტა: levanikis@yahoo.com
ნინო დამენია, ბიზნესის მართვის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. ტელ: 599712284, ელ. ფოსტა: n.damenia@sangu.edu.ge

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ბიზნესის ეფექტიანად მართვას, საწარმოო პროცესების დაგეგმვას, შეფასებასა და კონტროლს, აგრეთვე, ბიზნესის მართვის პროცესში წარმოშობილი პრობლემების გადაჭრას პროგრამის ფარგლებში შექმნილი ცოდნისა და უნარების მეშვეობით. სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს თანამედროვე ბიზნეს გარემოზე, მის ცვალებად მოთხოვნებზე ორიენტირებული მენეჯერები, რომლებიც ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე იმოქმედებენ, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტები ორგანიზაციის სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელების პროცესში, დამოუკიდებლად მოახდენენ სირთულეების იდენტიფიცირებასა და გადაჭრას კვლევისა და ანალიზის მეშვეობით, შეეძლებათ მონაცემებზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღება და მათი დასაბუთება როგორც პროფესიულ, ასევე აკადემიურ სფეროში.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ ბიზნესში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების კვლევისა და ანალიზის უნარი, შეეძლოთ მართვის აქტუალური პრობლემის გამოკვეთა და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება კომპანიის საქმიანობის შედეგების გაუმჯობესების მიზნით. აგრეთვე, შეეძლოთ სხვადასხვა ბიზნეს ერთეულების ეფექტიანი მართვა, ინფორმაციის სისტემების გამოყენება მენეჯმენტში, გაცნობიერებული ჰქონდეთ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და ამ გზით წვლილი შეიტანონ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტები დაეუფლებიან ბიზნესის ადმინისტრირების თეორიულ საფუძვლებს, მიიღებენ აუცილებელ ცოდნას ბიზნეს საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებით, რომლებიც მოიცავს ბიზნესის გარემოს შესწავლას, კომპანიების საქმიანობის შედეგების დაგეგმვას, შეფასებასა და ანალიზს, ინფორმაციისა და ადამიანური რესურსების სტრატეგიულ მართვას, ეფექტურ მარკეტინგულ სტრატეგიებს, სამეცნიერო-კვლევითი და ბიზნეს პროექტების განხორციელებას.

სამაგისტრო პროგრამა მოწოდებულია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ჩამოყალიბოს მომავალ მენეჯერებს ბიზნესის მართვის უნარ-ჩვევები. სტრატეგიული მენეჯმენტის, ფინანსური, მარკეტინგის, ინფორმაციის მენეჯმენტისა და სხვა დისციპლინების შესწავლის საფუძველზე განუვითაროს მართვისა და ორგანიზების უნარი, ლიდერობის თვისებები და გუნდური მუშაობის უნარი, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.

მაგისტრის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კურსის გავლა, როგორც სახელმწიფო, ისე ბიზნეს-სუბიექტებსა და არაკომერციულ ორგანიზაციებში.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და კონკრეტული ამოცანების დასაბუთებული გადაწყვეტა. ნაშრომმა უნდა გამოავლინოს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული ლიტერატურისა და კვლევის მეთოდების დაუფლების დონე და მომავალი პროფესიული საქმიანობის პირობებში მაგისტრანტის მზადყოფნა დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

სწავლა-სწავლების ფორმები და სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სასწავლო კურსების ფარგლებში გამოიყენება სალექციო და სასემინარო მუშაობის მეთოდი. სასწავლო კურსების მიზნების მისაღწევად, კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში ასათვისებელი საკითხების შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება შესატყვისი მეთოდები და აქტივობები, რაც დეტალურად განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსით.

სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა და უნარების მიღწევას. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რეალიზაცია ხდება სასწავლო კურსებში ლექციების, ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული მეცადინეობების საშუალებით, ასევე მაგისტრანტის დამოუკიდებელი მუშაობის გზით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევის განხორციელების მეშვეობით, თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაციის მიზნით პრაქტიკის ობიექტზე სამუშაო პროცესში მონაწილეობის მეშვეობით.

ლექციის დანიშნულებაა სილაბუსით გათვალისწინებული თემების თეორიული გააზრება, განზოგადება, პრობლემურ დონეზე განხილვა და მაგისტრანტის უზრუნველყოფა შესაბამისი მეთოდური ინფორმაციით და ტერმინოლოგიით. ლექციებზე ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის ძირითადი დებულებების გამოკვეთაზე, დასაბუთებული თეზისების ფორმულირებასა და მათ კრიტიკულ ანალიზზე, აგრეთვე, მაგისტრანტთა თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობის განვითარებაზე, ძირითად მეცნიერულ პრობლემათა შეცნობასა და გაგებაზე. ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება მაგისტრანტის დამოუკიდებელი მუშაობით. მაგისტრანტი უნდა დაინტერესდეს დამატებითი წყაროებით და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლით, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

ჯგუფში მუშაობის/ პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა ლექციებზე მიღებული ცოდნის გაღრმავება და დაკონკრეტება, პრაქტიკული გამოყენება, საკითხების განხილვა, გამოკვლევა, დისკუსია და დასკვნების გამოტანა, აგრეთვე ახალი იდეების გენერირება, ინოვაციური გზების ძიება.

სწავლებისა და სწავლის პროცესში გამოიყენება წერიითი, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდები; დავალებათა შესასრულებლად და საკითხების ვიზუალიზაციისათვის შემოქმედებითად გამოიყენება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, წიგნზე მუშაობის მეთოდი; აგრეთვე ისეთი მეთოდები, როგორცაა:

დისკუსია/დებატები

დემონსტრირების მეთოდი

ახსნა-განმარტებითი მეთოდი

გონებრივი იერიშის მეთოდი

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)

პრაქტიკული მეთოდები და სხვა.

პროგრამის განმახორციელებლები გამოიყენებენ ნებისმიერ სხვა მეთოდს ამა თუ იმ კონკრეტული სასწავლო ამოცანის შესასრულებლად. ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებისა და მათი კომბინირების შედეგად სასწავლო პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო მაგისტრანტის სასწავლო პროცესში ჩართულობა - უფრო აქტიური, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მაგისტრანტთა შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას - მაგისტრანტები გაიღრმავებენ ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარებს; სტრატეგიული მიზნების დასახვას და მათი მიღწევის ინოვაციური გზებისა და მეთოდების გამოყენებას; შესასრულებელი სამუშაოს ეტაპობრივ დაგეგმვასა და დროის ორგანიზებას; საჭირო ინფორმაციის მოპოვებისთვის ტექნოლოგიებისა და საბიბლიოთეკო

ფონდის აქტიურ გამოყენებას და მოძიებული ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს; დასკვნების და მოსაზრებების ჩამოყალიბება-დასაბუთებას, წერით კომუნიკაციას, საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციის რელიზაციას, დასკვნების და მოსაზრებების არგუმენტირებულ დაცვას. კონკრეტული მეთოდის ან მეთოდთა კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია შესაბამისი სასწავლო კომპონენტით დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე, რაც დეტალურადაა აღწერილი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სწავლის შედეგები

პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლების შედეგების მიღწევას, კერძოდ:

1. წარმართავს ბიზნესის მართვას ბიზნესის, ფინანსების, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ინფორმაციის, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ცოდნის საფუძველზე ბიზნეს-გარემოში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად.
2. აყალიბებს ბიზნესის ადმინისტრირებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე საკუთარ მოსაზრებებს ქართულ და უცხო ენაზე სხვადასხვა აუდიტორიისთვის, ამზადებს კვლევით ანგარიშებს, ატარებს პრეზენტაციებს ბიზნეს ტერმინოლოგიის დემონსტრირებით, იყენებს თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს, აწარმოებს კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან, მონაწილეობს დისკუსიებსა და დებატებში ზოგადი და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით, შეუძლია ჯგუფში მუშაობა და ჯგუფის ლიდერობა.
3. იყენებს სამეწარმეო პროცესების მართვისა და ეფექტიანობის გაზომვის მეთოდებს, იყენებს მართვის სტრატეგიის შემუშავებისათვის საჭირო კვლევისა და სტატისტიკურ მეთოდებს, ქმნის სტრატეგიულ გეგმას და ამზადებს ფინანსურ დოკუმენტაციას, აფასებს ადამიანური რესურსების მიმდინარე და მომავალ საჭიროებას კომპანიაში და არჩევს მართვის შესაბამის მეთოდებს, აანალიზებს მარკეტინგულ ინფორმაციას და განსაზღვრავს მარკეტინგის სტრატეგიას.
4. აანალიზებს ბიზნესგარემოს, შეუძლია სტრატეგიული და მარკეტინგული დაგეგმვა, ფინანსური ანგარიშგება, ბიზნესოპერაციების მართვა. ორგანიზაციაში არსებული პრობლემების შესახებ მონაცემების შეგროვება, კრიტიკული ანალიზი და მიღებული დასკვნების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება.
5. აანალიზებს ფირმის საქმიანობის შედეგებს და აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს. შეუძლია გაუთვალისწინებელ გარემოში მოქმედება, შეუძლია უცნობ გარემოში რთული საკითხების გადაწყვეტისთვის ორიგინალური გზების ძიება, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება აკადემიური კეთილსინდისიერების პრონციპების დაცვით, უახლესი კვლევებისა და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება.
6. აფასებს მიღებული განათლების მნიშვნელობას თანამედროვე მენეჯერისთვის და გეგმავს საკუთარი კარიერული განვითარებისთვის ფორმალურ და არაფორმალურ სასწავლო პროცესს; ანახლებს და აღრმავებს მიღებულ ცოდნას ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში დამოუკიდებლად მოძიებული უახლესი ინფორმაციის საფუძველზე.
7. აცნობიერებს ბიზნესისა და კვლევის ეთიკის ნორმების დაცვის აუცილებლობას სამეწარმეო და კვლევით საქმიანობაში; მონაწილეობს ბიზნესის სფეროში აუცილებელი ზოგადი და პროფესიული ღირებულების დამკვიდრებაში;

სტუდენტის მიღწევების შეფასება

კრედიტის მიღება მაგისტრანტის მიერ შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც უნდა დადასტურდეს შეფასების შედეგებით.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით.

შეფასების სისტემა მოიცავს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

დადებითი შეფასებებია:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა;

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) ვერ ჩააბარა –41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში.

შენიშვნა: დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

(F) ჩაიჭრა –40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს:

შუალედური შეფასება - 60 ქულა; შუალედური გამოცდა - 30 ქულა; მიმდინარე გამოკითხვები სემინარებზე - 20 ქულა; პრეზენტაცია - 10 ქულა.

დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით.

შუალედური გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 8 ქულა; პრეზენტაცია/რეფერატი/საკურსო კომპონენტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 4 ქულა; მიმდინარე გამოკითხვების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 8 ქულა;

დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა და მასზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების სახით მოპოვებული აქვს არანაკლებ 20 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად სტუდენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მიიღოს არანაკლებ 21 ქულა.

შუალედური გამოცდა ჩატარდება მე-8-მე-9 სასწავლო კვირების განმავლობაში;

პრეზენტაციები ტარდება პირველი შუალედური გამოცდის დასრულებიდან დასკვნით გამოცდამდე პერიოდში;

დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება მე-16-19 სასწავლო კვირების განმავლობაში;

დამატებითი გამოცდა ჩატარდება დასკვნითი შეფასების გაცნობიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.

დასაქმების და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

პროგრამის ფარგლებში მომზადებულ მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ბიზნეს-ორგანიზაციაში მმართველობით რგოლში, აგრეთვე, სახელმწიფო მართვის ორგანოებში, აკადემიურ სფეროებში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. მას, როგორც პროფესიონალ ანალიტიკოსსა და მენეჯერს შეუძლია დაიკავოს ხელმძღვანელი თანამდებობა, იყოს ექსპერტი, მრჩეველი, ანალიტიკოსი, პარტნიორი კომპანიებში.

დასაქმების სფეროებია საჯარო და კერძო დაწესებულებები, ასევე სამოქალაქო ორგანიზაციები და ასოციაციები, რომლებიც საკუთრი მისია-მიზნებიდან გამომდინარე ახორციელებენ ადმინისტრირებას შესაბამის სფეროებში მართვის, კონტროლის და ზედამხედველობის კუთხით; მონაწილეობენ და ქმნიან დაწესებულების მართვის პოლიტიკას.

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს საშუალო და ზედა რგოლის მენეჯმენტში გადაწყვეტილების მიმღები მენეჯერის პოზიციაზე (მაგალითად, პროექტების მენეჯერად, მმართველ მენეჯერად, დეპარტამენტის უფროსად), მას აგრეთვე შეუძლია წამოიწყოს საკუთარი ბიზნესი, ეფექტიანად მართოს კომპანია, წარმატებით გაუძღვეს ოჯახურ ბიზნესს.

კურსდამთავრებულს შეუძლია განაგრძოს სწავლა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში, სადაც დაშვების წინაპირობა არის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სრულადაა დაკომპლექტებული ძირითადი სასწავლო ლიტერატურით, უნივერსიტეტში ჩართულია სამეცნიერო ბაზებზე წვდომა. გარდა ამისა, ქართული უნივერსიტეტის აუდიტორიები და ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტის ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერებით, რაც მაგისტრანტებს საშუალებას მისცემს მოიძიონ და გაეცნონ თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურას, წარმოადგინონ პრეზენტაციები.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის აუდიტორიები კეთილმოწყობილია და აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით (კომპიუტერი, პროექტორი, სმარტ დაფა, ინტერნეტი...).

დანართი 1 - სასწავლო გეგმა

პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აუცილებელია, სტუდენტმა დააგროვოს 120 კრედიტი (საკუთარი სურვილით, შეუძლია პროგრამის დასრულება მეტი კრედიტით), ამასთან, ქვემოთ მოცემული პირობების დაცვით:

- ✓ მაგისტრანტმა უნდა აითვისოს პროფესიული უცხო ენა. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, კრედიტების შესაბამისი მოცულობა შეავსოს არჩევითი სასწავლო კურსებით. ასევე გათვალისწინებულია საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების შესწავლის აუცილებლობა, რომელთა შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ სასწავლო გეგმაში;
- ✓ მაგისტრანტმა უნდა აითვისოს სავალდებულო სასწავლო კურსები - 60 კრედიტის და არჩევითი სასწავლო კურსები - 25 კრედიტის ოდენობით;
- ✓ მაგისტრანტმა უნდა გაიაროს პროფესიული პრაქტიკა - 10 კრედიტი და აითვისოს კვლევითი კომპონენტი - 25 ქულა.

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები

წინაპირობა	სასწავლო კურსი	ლექტორი	შემოდგომა	გაზაფხული
არ აქვს	უცხო ენა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის	როდენ მემარნიშვილი	5	
არ აქვს	ოპერაციების მენეჯმენტი	ფიქრია წოწკოლაური		5
არ აქვს	აკადემიური წერა	თინათინ თურქია	5	
არ აქვს	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	ფიქრია წოწკოლაური	5	
არ აქვს	მენეჯერული ეკონომიკა	ნინო დამენია	5	
არ აქვს	მარკეტინგის მენეჯმენტი	ფიქრია წოწკოლაური		5
არ აქვს	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	იზა გიგაური		5
არ აქვს	ფინანსური მენეჯმენტი	ლევან ქისტაური		5
არ აქვს	ანტიკრიზისული მენეჯმენტი	ფიქრია წოწკოლაური		5
არ აქვს	ინფორმაციის მენეჯმენტი	კობა გელაშვილი, მიხეილ თუთბერიძე	5	
არ აქვს	ბიზნესის სტრატეგიული მართვა	ფიქრია წოწკოლაური	5	
არ აქვს	ბიზნესის კვლევის მეთოდები	იზა გიგაური		5
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	პროფესიული პრაქტიკა	არჩეული პერსონალი		10
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	კვლევითი პროექტი	არჩეული და მოწვეული პერსონალი	5	
კვლევითი პროექტი	სამაგისტრო ნაშრომი	არჩეული და მოწვეული პერსონალი		20

არჩევითი სასწავლო კურსები (25 კრედიტი)

არ აქვს	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR)	იზა გიგაური	5	
არ აქვს	კორპორაციული მენეჯმენტი	ფიქრია წოწკოლაური	5	
არ აქვს	ლოგისტიკა	დავით ხაყოშია	5	
არ აქვს	ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა	გოჩა თუთბერიძე	5	
არ აქვს	ფინანსური რისკების მართვა	დავით ჭელიძე	5	
არ აქვს	მიკროეკონომიკის თეორია	ნინო დამენია	5	
არ აქვს	ფსიქოლოგია ეკონომიკასა და ბიზნესში	ლია ქურხული	5	
არ აქვს	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	გივი ბედიანაშვილი	5	
არ აქვს	გლობალიზაცია და ევროინტეგრაცია	გიორგი ჭუმბურიძე	5	
არ აქვს	ინოვაციური მენეჯმენტი	ელენე ჩიქოვანი	5	
არ აქვს	ლიდერობა	რატი აბულაძე	5	
არ აქვს	მოლაპარაკების თეორია და პრაქტიკა	გურამ ჯოლია	5	
არ აქვს	SPSS კურსი კვლევებისთვის	მამუკა ბენაშვილი	5	
არ აქვს	სოციალური მეწარმეობა	იზა გიგაური	5	
არ აქვს	მონეტარული პოლიტიკა და საბანკო საქმე	მამუკა ჯიბუტი	5	
არ აქვს	ფინანსების თეორია	ელენე ჩიქოვანი	5	

დანართი 3 - სწავლის შედეგების რუკა

სასწავლო კურსი	სწავლის შედეგები						
	I	II	III	IV	V	VI	VII
მენეჯერული ეკონომიკა	×		×	×		×	×
ოპერაციების მენეჯმენტი	×		×	×	×	×	×
მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	×	×		×			×
ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	×	×	×	×		×	×
მარკეტინგის მენეჯმენტი	×	×	×	×	×	×	×
ბიზნესის კვლევის მეთოდები	×		×	×	×	×	×
ანტიკრიზისული მენეჯმენტი	×		×	×		×	×
ინფორმაციის მენეჯმენტი	×	×	×	×		×	×
ფინანსური მენეჯმენტი	×		×	×		×	×
უცხო ენა ეკონომიკასა და ბიზნესისთვის	×	×					
აკადემიური წერა	×	×					
ბიზნესის სტრატეგიული მართვა	×		×	×			×
კვლევითი პროექტი		×	×	×	×		×
პროფესიული პრაქტიკა	×	×	×	×	×	×	×
სამაგისტრო ნაშრომი	×	×	×	×	×	×	×

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

სწავლის შედეგების შეფასება წარმოებს უნივერსიტეტში დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესის“ შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია სწავლის თითოეული შედეგის შეფასების ინსტრუქცია და სამიზნე ნიშნულები.

სწავლის შედეგი № 1: წარმართავს ბიზნესის მართვას ბიზნესის, ფინანსების, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ინფორმაციის, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ცოდნის საფუძველზე ბიზნეს-გარემოში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად.

პროგრამის კომპონენტი/ კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას	შეფასების ფორმა	შეფასების მეთოდი	მტკიცებულება
მენეჯერული ეკონომიკა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	პრაქტიკული ამოცანა. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ოპერაციების მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
მარკეტინგის მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ფინანსური მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	თეორიული საკითხი და ამოცანა. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ინფორმაციის მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ანტიკრიზისული მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
უცხო ენა ეკონომიკასა და ბიზნესისთვის	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	საშინაო დავალება. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ბიზნესის კვლევის მეთოდები	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
აკადემიური წერა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	წერითი დავალება. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ბიზნესის სტრატეგიული მართვა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;

პროფესიული პრაქტიკა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	პროფესიული პრაქტიკის დაცვა	საწარმოო პრაქტიკის დღიური და დაცვის უწყისი
სამაგისტრო ნაშრომი	შუალედური შეფასება (რეცენზენტის შეფასება)	სამაგისტრო ნაშრომის დაცვა- პრეზენტაცია	კომისიის მიერ ნაშრომის შეფასების საბოლოო უწყისები
საანგარიშო პერიოდი	მე-4 სემესტრი		
სამიზნე ნიშნული	სტუდენტების 100%-ის შემთხვევაში დასტურდება სწავლის შედეგებზე გასვლა. მათ შორის, სტუდენტთა საშუალოდ 10% აჩვენებს ძალიან მაღალ შედეგს.		
<p>სწავლის შედეგის შეფასების პროცესის აღწერა: სწავლების შედეგების შეფასება ხორციელდება პერიოდულად სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. სწავლების შედეგების შეფასება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - საპრეზენტაციო მასალების (მოსხენებების წერითი ვარიანტი, სლაიდშოუ...) მონიტორინგი; - დასკვნითი გამოცდების წერითი ნამუშევრების მონიტორინგი; <p>კომისიის წევრთა გასაუბრება წარმოებს დადებითი შეფასების მქონე სტუდენტებთან სწავლის შედეგების შემოწმების მიზნით.</p>			

სწავლის შედეგი № 2: აყალიბებს ბიზნესის ადმინისტრირებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე საკუთარ მოსაზრებებს ქართულ და უცხო ენაზე სხვადასხვა აუდიტორიისთვის, ამზადებს კვლევით ანგარიშებს, ატარებს პრეზენტაციებს ბიზნეს ტერმინოლოგიის დემონსტრირებით, იყენებს თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს, აწარმოებს კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან, მონაწილეობს დისკუსიებსა და დებატებში ზოგადი და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით, შეუძლია ჯგუფში მუშაობა და ჯგუფის ლიდერობა.

პროგრამის კომპონენტი/ კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას	შეფასების ფორმა	შეფასების მეთოდი	მტკიცებულება
მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
მარკეტინგის მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ინფორმაციის მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
უცხო ენა ეკონომიკასა და ბიზნესისთვის	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	წერითი დავალება. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
აკადემიური წერა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	წერითი დავალება. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
კვლევითი პროექტი		კვლევითი პროექტის დაცვა	პრეზენტაციის მასალები, კომისიის შეფასების საბოლოო უწყისი;
პროფესიული პრაქტიკა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	პროფესიული პრაქტიკის დაცვა	საწარმოო პრაქტიკის დღიური და დაცვის უწყისი

სამაგისტრო ნაშრომი	შუალედური შეფასება (რეგენზენტის შეფასება)	სამაგისტრო ნაშრომის დაცვა- პრეზენტაცია	კომისიის მიერ ნაშრომის შეფასების საბოლოო უწყისები
საანგარიშო პერიოდი	მე-4 სემესტრი		
სამიზნე ნიშნული	სტუდენტების 100%-ის შემთხვევაში დასტურდება სწავლის შედეგებზე გასვლა. მათ შორის, სტუდენტთა საშუალოდ 10% აჩვენებს ძალიან მაღალ შედეგს.		
<p>სწავლის შედეგის შეფასების პროცესის აღწერა: სწავლების შედეგების შეფასება ხორციელდება პერიოდულად სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. სწავლების შედეგების შეფასება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - საპრეზენტაციო მასალების (მოხსენებების წერიტი ვარიანტი, სლაიდშოუ...) მონიტორინგი; - დასკვნითი გამოცდების წერიტი ნამუშევრების მონიტორინგი; <p>კომისიის წევრთა გასაუბრება წარმოებს დადებითი შეფასების მქონე სტუდენტებთან სწავლის შედეგების შემოწმების მიზნით.</p>			

სწავლის შედეგი № 3: იყენებს სამეწარმეო პროცესების მართვისა და ეფექტიანობის გაზომვის მეთოდებს, იყენებს მართვის სტრატეგიის შემუშავებისათვის საჭირო კვლევისა და სტატისტიკურ მეთოდებს, ქმნის სტრატეგიულ გეგმას და ამზადებს ფინანსურ დოკუმენტაციას, აფასებს ადამიანური რესურსების მიმდინარე და მომავალ საჭიროებას კომპანიაში და არჩევს მართვის შესაბამის მეთოდებს, აანალიზებს მარკეტინგულ ინფორმაციას და განსაზღვრავს მარკეტინგის სტრატეგიას.

პროგრამის კომპონენტი/ კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას	შეფასების ფორმა	შეფასების მეთოდი	მტკიცებულება
მენეჯერული ეკონომიკა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	წერილობითი გამოკითხვა. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ოპერაციების მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
მარკეტინგის მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია.	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ბიზნესის კვლევის მეთოდები	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ანტიკრიზისული მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ინფორმაციის მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ფინანსური მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	თეორიული საკითხი და ამოცანა. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ბიზნესის სტრატეგიული მართვა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;

კვლევითი პროექტი		კვლევითი პროექტის დაცვა	კომისიის შეფასების საბოლოო უწყისი; პრეზენტაციის მასალები
პროფესიული პრაქტიკა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	პროფესიული პრაქტიკის დაცვა	საწარმოო პრაქტიკის დღიური და დაცვის უწყისი
სამაგისტრო ნაშრომი	შუალედური შეფასება (რეგენზენტის შეფასება)	სამაგისტრო ნაშრომის დაცვა- პრეზენტაცია	კომისიის მიერ ნაშრომის შეფასების საბოლოო უწყისები
საანგარიშო პერიოდი	მე-4 სემესტრი		
სამიზნე ნიშნული	სტუდენტების 100%-ის შემთხვევაში დასტურდება სწავლის შედეგებზე გასვლა. მათ შორის, სტუდენტთა საშუალოდ 10% აჩვენებს ძალიან მაღალ შედეგს.		
<p>სწავლის შედეგის შეფასების პროცესის აღწერა: სწავლების შედეგების შეფასება ხორციელდება პერიოდულად სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. სწავლების შედეგების შეფასება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - საპრეზენტაციო მასალების (მოხსენებების წერიტი ვარიანტი, სლაიდშოუ...) მონიტორინგი; - დასკვნითი გამოცდების წერიტი ნამუშევრების მონიტორინგი; <p>კომისიის წევრთა გასაუბრება წარმოებს დადებითი შეფასების მქონე სტუდენტებთან სწავლის შედეგების შემოწმების მიზნით.</p>			

სწავლის შედეგი № 4: ანალიზებს ბიზნესგარემოს, შეუძლია სტრატეგიული და მარკეტინგული დაგეგმვა, ფინანსური ანგარიშგება, ბიზნესოპერაციების მართვა. ორგანიზაციაში არსებული პრობლემების შესახებ მონაცემების შეგროვება, კრიტიკული ანალიზი და მიღებული დასკვნების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება.

პროგრამის კომპონენტი/ კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას	შეფასების ფორმა	შეფასების მეთოდი	მტკიცებულება
მენეჯერული ეკონომიკა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	წერილობითი გამოკითხვა. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ოპერაციების მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
მარკეტინგის მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ბიზნესის კვლევის მეთოდები	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ანტიკრიზისული მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	დისკუსიებში მონაწილეობა და ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ინფორმაციის მენეჯმენტი	შუალედური შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები

	დასკვნითი შეფასება		ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ფინანსური მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	თეორიული საკითხი და ამოცანა. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ბიზნესის სტრატეგიული მართვა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
კვლევითი პროექტი		კვლევითი პროექტის დაცვა	პრეზენტაციის მასალები, კომისიის შეფასების საბოლოო უწყისი;
პროფესიული პრაქტიკა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	პროფესიული პრაქტიკის დაცვა	საწარმოო პრაქტიკის დღიური და დაცვის უწყისი
სამაგისტრო ნაშრომი	შუალედური შეფასება (რეცენზენტის შეფასება)	სამაგისტრო ნაშრომის დაცვა- პრეზენტაცია	კომისიის მიერ ნაშრომის შეფასების საბოლოო უწყისები
საანგარიშო პერიოდი	მე-4 სემესტრი		
სამიზნე ნიშნული	სტუდენტების 100%-ის შემთხვევაში დასტურდება სწავლის შედეგებზე გასვლა. მათ შორის, სტუდენტთა საშუალოდ 10% აჩვენებს ძალიან მაღალ შედეგს.		
<p>სწავლის შედეგის შეფასების პროცესის აღწერა: სწავლების შედეგების შეფასება ხორციელდება პერიოდულად სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. სწავლების შედეგების შეფასება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - საპრეზენტაციო მასალების (მოხსენებების წერიტი ვარიანტი, სლაიდმოუ...) მონიტორინგი; - დასკვნითი გამოცდების წერიტი ნამუშევრების მონიტორინგი; <p>კომისიის წევრთა გასაუბრება წარმოებს დადებითი შეფასების მქონე სტუდენტებთან სწავლის შედეგების შემოწმების მიზნით.</p>			

სწავლის შედეგი № 5: ანალიზებს ფირმის საქმიანობის შედეგებს და აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს. შეუძლია გაუთვალისწინებელ გარემოში მოქმედება, შეუძლია უცნობ გარემოში რთული საკითხების გადაწყვეტისთვის ორიგინალური გზების ძიება, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება აკადემიური კეთილსინდისიერების პრონციპების დაცვით, უახლესი კვლევებისა და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება.

პროგრამის კომპონენტი/ კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას	შეფასების ფორმა	შეფასების მეთოდი	მტკიცებულება
ოპერაციების მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
მარკეტინგის მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ბიზნესის კვლევის მეთოდები	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
კვლევითი პროექტი		კვლევითი პროექტის დაცვა	პრეზენტაციის მასალები, კომისიის

			შეფასების საბოლოო უწყისი;
პროფესიული პრაქტიკა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	პროფესიული პრაქტიკის დაცვა	საწარმოო პრაქტიკის დღიური და დაცვის უწყისი
სამაგისტრო ნაშრომი	შუალედური შეფასება (რეცენზენტის შეფასება)	სამაგისტრო ნაშრომის დაცვა- პრეზენტაცია	კომისიის მიერ ნაშრომის შეფასების საბოლოო უწყისები
საანგარიშო პერიოდი	მე-4 სემესტრი		
სამიზნე ნიშნული	სტუდენტების 100%-ის შემთხვევაში დასტურდება სწავლის შედეგებზე გასვლა. მათ შორის, სტუდენტთა საშუალოდ 10% აჩვენებს ძალიან მაღალ შედეგს.		
<p>სწავლის შედეგის შეფასების პროცესის აღწერა: სწავლების შედეგების შეფასება ხორციელდება პერიოდულად სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. სწავლების შედეგების შეფასება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - საპრეზენტაციო მასალების (მოხსენებების წერიტი ვარიანტი, სლაიდმოუ...) მონიტორინგი; - დასკვნითი გამოცდების წერიტი ნამუშევრების მონიტორინგი; <p>კომისიის წევრთა გასაუბრება წარმოებს დადებითი შეფასების მქონე სტუდენტებთან სწავლის შედეგების შემოწმების მიზნით.</p>			

სწავლის შედეგი № 6: აფასებს მიღებული განათლების მნიშვნელობას თანამედროვე მენეჯერისთვის და გეგმავს საკუთარი კარიერული განვითარებისთვის ფორმალურ და არაფორმალურ სასწავლო პროცესს; ანახლებს და აღრმავებს მიღებულ ცოდნას ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში დამოუკიდებლად მოძიებული უახლესი ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამის კომპონენტი/ კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას	შეფასების ფორმა	შეფასების მეთოდი	მტკიცებულება
მენეჯერული ეკონომიკა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	წერილობითი გამოკითხვა. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ოპერაციების მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
მარკეტინგის მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ბიზნესის კვლევის მეთოდები	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ანტიკრიზისული მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ინფორმაციის მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ფინანსური მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	თეორიული საკითხი და ამოცანა. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;

პროფესიული პრაქტიკა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	პროფესიული პრაქტიკის დაცვა	საწარმოო პრაქტიკის დღიური და დაცვის უწყისი
სამაგისტრო ნაშრომი	შუალედური შეფასება (რეცენზენტის შეფასება)	სამაგისტრო ნაშრომის დაცვა- პრეზენტაცია	კომისიის მიერ ნაშრომის შეფასების საბოლოო უწყისები
საანგარიშო პერიოდი	მე-4 სემესტრი		
სამიზნე ნიშნული	სტუდენტების 100%-ის შემთხვევაში დასტურდება სწავლის შედეგებზე გასვლა. მათ შორის, სტუდენტთა საშუალოდ 10% აჩვენებს ძალიან მაღალ შედეგს.		
<p>სწავლის შედეგის შეფასების პროცესის აღწერა: სწავლების შედეგების შეფასება ხორციელდება პერიოდულად სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. სწავლების შედეგების შეფასება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - საპრეზენტაციო მასალების (მოხსენებების წერიითი ვარიანტი, სლაიდშოუ...) მონიტორინგი; - დასკვნითი გამოცდების წერიითი ნამუშევრების მონიტორინგი; <p>კომისიის წევრთა გასაუბრება წარმოებს დადებითი შეფასების მქონე სტუდენტებთან სწავლის შედეგების შემოწმების მიზნით.</p>			

სწავლის შედეგი № 7 აცნობიერებს ბიზნესისა და კვლევის ეთიკის ნორმების დაცვის აუცილებლობას სამეწარმეო და კვლევით საქმიანობაში; მონაწილეობს ბიზნესის სფეროში აუცილებელი ზოგადი და პროფესიული ღირებულების დამკვიდრებაში;

პროგრამის კომპონენტი/ კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას	შეფასების ფორმა	შეფასების მეთოდი	მტკიცებულება
მენეჯერული ეკონომიკა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	წერილობითი გამოკითხვა. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ოპერაციების მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
მარკეტინგის მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ბიზნესის კვლევის მეთოდები	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ანტიკრიზისული მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ინფორმაციის მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
ფინანსური მენეჯმენტი	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	თეორიული საკითხი და ამოცანა. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;

ბიზნესის სტრატეგიული მართვა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	ქვიზი. პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები ფინალური გამოცდის ნაშრომი;
კვლევითი პროექტი		კვლევითი პროექტის დაცვა	პრეზენტაციის მასალები, კომისიის შეფასების საბოლოო უწყისი;
პროფესიული პრაქტიკა	შუალედური შეფასება დასკვნითი შეფასება	პროფესიული პრაქტიკის დაცვა	საწარმოო პრაქტიკის დღიური და დაცვის უწყისი
სამაგისტრო ნაშრომი	შუალედური შეფასება (რეცენზენტის შეფასება)	სამაგისტრო ნაშრომის დაცვა- პრეზენტაცია	კომისიის მიერ ნაშრომის შეფასების საბოლოო უწყისები
საანგარიშო პერიოდი	მე-4 სემესტრი		
სამიზნე ნიშნული	სტუდენტების 100%-ის შემთხვევაში დასტურდება სწავლის შედეგებზე გასვლა. მათ შორის, სტუდენტთა საშუალოდ 10% აჩვენებს ძალიან მაღალ შედეგს.		
<p>სწავლის შედეგის შეფასების პროცესის აღწერა: სწავლების შედეგების შეფასება ხორციელდება პერიოდულად სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. სწავლების შედეგების შეფასება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - საპრეზენტაციო მასალების (მოხსენებების წერითი ვარიანტი, სლაიდშოუ...) მონიტორინგი; - დასკვნითი გამოცდების წერითი ნამუშევრების მონიტორინგი; <p>კომისიის წევრთა გასაუბრება წარმოებს დადებითი შეფასების მქონე სტუდენტებთან სწავლის შედეგების შემოწმების მიზნით.</p>			

დანართი 4 - საგანმანათლებლო პროგრამაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა დაკავშირებულია თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკასთან და პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტთან და გამომდინარეობს შემდეგი მიდგომებიდან:

- საგანმანათლებლო პროგრამის ყოველ 50 სტუდენტზე გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ ერთი აფილირებული აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი;
- საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური რაოდენობის არანაკლებ 51%-ის განხორციელება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალით.

პროგრამაში საკონტაქტო საათების ორგანიზების ზოგადი წესი:

- სალექციო ფორმატით საკონტაქტო საათის ორგანიზებისას სტუდენტთა ჯგუფების ფორმირებისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსების სპეციფიკა;
- პრაქტიკული მუშაობისა და სასემინარო მუშაობისათვის ჯგუფში სტუდენტთა საშუალო, რეკომენდებული რაოდენობაა 30 სტუდენტი.

სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი, შესაბამისი კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, განსაზღვროს გამოსაყენებელი სწავლების მეთოდის შესაბამისად სტუდენტთა ზღვრული ოდენობა. ასეთის არსებობის, შემთხვევაში სტუდენტთა ოპტიმალური ოდენობის შესახებ ჩანაწერი კეთდება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.